განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

შეფასების თარიღ(ებ)ი: 15.04.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 11.05.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203850813
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	-
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კვალიფიკაცია არ ენიჭება
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ჩოკორაია, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხვთისო მამისიმედიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოქმედებს 2012 წლიდან. ამავე წელს პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია, ამჟამად მიმდინარეობს პროგრამის ხელახალი აკრედიტაცია.

პროგრამა განკუთვნილია საქართველოს არაქართულენოვანი მოქალაქეებისათვის, რათა მათ შეძლონ სწავლის გაგრძელება საბაკალავრო საფეხურზე და სრულფასოვანი ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში. 2012 წლის შემდგომ პროგრამამ განიცადა ცვლილებები ახალი დარგობრივი მახასიათებლის, აკრედიტაციის სტანდარტებისა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის სასწავლო კურსები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას (ქართულის, როგორც მეორე ენის სამეტყველო ფუნქციები: მოსმენა; ქართულის, როგორც მეორე ენის სამეტყველო ფუნქციები: კითხვა; ქართულის, როგორც მეორე ენის სამეტყველო ფუნქციები: ზეპირი მეტყველება; ქართულის, როგორც მეორე ენის სამეტყველო ფუნქციები: წერითი მეტყველება; ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა (ტიპური შეცდომების ანალიზი-1); ენის კომუნიკაციური ასპექტები-1; ორთოეპია და ორთოგრაფია; ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა (ტიპური შეცდომების ანალიზი) 2; ენის კომუნიკაციური ასპექტები-2; ლექსიკა და კითხვა (კითხვის სტრატეგიები); ზეპირი კომუნიკაცია (ზეპირმეტყველებითი სტრატეგიები); ფუნქციური წერა). სასწავლო კურსების სილაბუსებში ინტეგრირებულია ინტერკულტურული კომპეტენციების გამომუშავებისათვის საჭირო საკითხები, ასევე კონსერვატორიის საბაკალავრო პროგრამებისათვის დამახასიათებელი დარგობრივი სპეციფიკის გამომხატველი ლექსიკა. პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს და მიზნად არ ისახავს კვალიფიკაციის მინიჭებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 24 მარტის №316140 (შემდგომი ცვლილებები - №326930, 02/04/2020; №332170, 07/04/2020) ბრძანების თანახმად, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით შეფასდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემდეგი შემადგენლობით: თამარ ჩოკორაია, ხვთისო მამისიმედიშვილი.

ვიზიტამდე, აკრედიტაციის ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. ვიზიტი ჩატარდა 2020 წლის 15 აპრილს. ექსპერტები, დისტანციური შეფასების ფარგლებში, შეხვდნენ კონსერვატორიის ადმინისტრაციას (რექტორს - ნანა შარიქაძეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს - ნიკოლოზ ხორბალაძეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს - თამარ ჩხეიძეს, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს - მაია მეტრეველს), თვითშეფასების ჯგუფს (ფაკულტეტის დეკანს - მაკა ვირსალაძეს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორს - ქეთევან ბოლაშვილს, პროგრამის ხელმძღვანელს - მანანა ტაბიძესა და მასწავლებელს - თინათინ თურქიას), ასევე სხვა საბაკალავრო საფეხურის პროგრამების სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს (ვინაიდან პროგრამას ჯერ არ ჰყავს სტუდენტი).

შეხვედრებზე განხილულ იქნა კონსერვატორიის პოზიცია სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდასთან დაკავშირებით, ქართულ ენაში მომზადების პროგრამის შინაარსობრივ-სტრუქტურული საკითხები, სილაბუსების თემატიკა, პროგრამით გათვალისწინებული შედეგები, სწავლების მეთოდოლოგია და სხვა საკითხები, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის შეფასებისთვის. ექსპერტები ასევე გაეცნენ საბიბლიოთეკო რესურსებს ბმულებისა და ელექტრონული წიგნების სახით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება კონსერვატორიის მისიას და ნათლად და ლოგიკურადაა გაწერილი. პროგრამა არის სტრუქტურულად და შინაარსობრივად გამართული, ეფუძნება პროგრამის დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა შემოქმედებითი ტური და ზოგადი უნარების ტესტი მშობლიურ ენაზე.

პროგრამამ 2012 წელს გაიარა აკრედიტაცია, თუმცა წლების განმავლობაში არ ჰყოლია სტუდენტი. უსდ-ში ჩაბარების სპეციფიკა (შემოქმედებითი ტური) და არაქართველი მოქალაქეებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სამუსიკო ტრადიციების სისუსტე (რაც კომპლექსური პრობლემაა და მხოლოდ კონსერვატორიის დონეზე ვერ გადაიჭრება) განაპირობებს სტუდენტთა კონტიგენტის მოზიდვის სირთულეებს. მნიშვნელოვანია, კონსერვატორიამ, მწირი რესურსების ფარგლებშიც კი, ოპტიმალურად დაგეგმოს ასეთი რეგიონებიდან სტუდენტთა მოზიდვის სტრატეგია. მით უფრო, კონსერვატორიის თვითშეფასებაში პროგრამის გასაუმჯობესებელ მხარედ სწორედ სტუდენტთა კონტიგენტის მოზიდვის საჭიროებაა მოაზრებული. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შესაბამისი ნიჭით დაჯილდოებული არაქართულენოვანი მოქალაქეების სამოქალაქო ინტეგრაციასა და სამუსიკო-კულტურული მიმართულებით გაზრდის მათ წვლილს სახელმწიფოს განვითარების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის ყველა სტანდარტთან და მზად არის სტუდენტთა კონტიგენტის მისაღებად. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, ექსპერტებმა შეიმუშავეს რამდენიმე რჩევა.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სილაბუსებში წარმოდგენილი თემატიკა ეხმიანება სამუსიკო განათლებასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას, თუმცა სასურველია ისეთი არჩევითი კურსის შეთავაზებაც, რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამისი დარგობრივი ლექსიკის შესწავლას და სტუდენტის უკეთ მომზადებას საბაკალავრო საფეხურისათვის.
2. სასურველია, სტუდენტთა ინტეგრაციის ხელშესაწყობად სხვადასხვა ექსტრაკურიკულური აქტივობის შეთავაზება (ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება და ა.შ).

3. ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის გაზრდასთან ერთად, სასურველია პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალის რაოდენობის ზრდაც.
4. სასურველია, პროგრამის გარე შეფასების განხორციელება საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა განკუთვნილია საქართველოს არაქართულენოვანი მოქალაქეებისათვის, რათა მათ შეძლონ სრულფასოვნად გააგრძელონ სწავლა საბაკალავრო საფეხურზე. პროგრამა მნიშვნელოვანია მათი სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობისა და კარიერული წინსვლისთვის. აღნიშნული მიზნების მისაღწევად 60 კრედიტიან პროგრამაში განსაზღვრულია ისეთი კურსები, რომლებიც უზრუნველყოფს ენობრივი კომპეტენციების დაუფლებას მოსმენის, წერის, კითხვისა და საუბრის მიმართულებით. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ლოგიკურად: მარტივიდან რთულისაკენ. წინამდებარე პროგრამა შეესაბამება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს. მისი გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს როგორც მარტივი, ისე რთული სინტაქსური კონსტრუქციებით კომუნიკაციას, წერითი დავალებების შესრულებასა და კითხვას. პროგრამის მიზნები ასევე შეესაბამება კონსერვატორიის მისიას და ნათლად და ლოგიკურადაა გაწერილი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა შემოქმედებითი ტური და ზოგადი უნარების ტესტი მშობლიურ ენაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის მისია; ○ პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ლოგიკურია და რეალისტური. პროგრამაში გათვალისწინებულია პრეტესტი, რათა სტუდენტები ჯგუფებში გადანაწილდნენ მათი ენობრივი კომპეტენციების შესაბამისად. სასწავლო კურსები (ქართულის, როგორც სამეტყველო ენის ფუნქციები (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება და წერითი მეტყველება), ასევე პრაქტიკული გრამატიკა (1,2), ენის კომუნიკაციური ასპექტები, ლექსიკა და კითხვა, ზეპირი კომუნიკაცია და ფუნქციური წერა) უზრუნველყოფს პროგრამასა და კომპეტენციების მატრიცაში გაწერილი შედეგების მიღწევას. ხოლო სილაბუსებში წარმოდგენილი თემატიკა ასევე ხელს უწყობს ინტერკულტურული კომპეტენციების გამომუშავებასა და ასევე სამუსიკო განათლებასთან დაკავშირებული ლექსიკის დაუფლებას. პროგრამის შედეგები სავსებით შეესაბამება ქართულ ენაში მომზადების პროგრამის დარგობრივ მახასიათებლებს, პროგრამა არ ითვალისწინებს კვალიფიკაციის მინიჭებას.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად, კონსერვატორიაში შემუშავებულია შესაბამისი პროცედურები, რომელიც მოიცავს ოთხ ეტაპს: პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების, კურიკულუმის ანალიზის, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების და პროგრამის გაუმჯობესების მიზნით შეფასების შედეგების გამოყენების ეტაპებისგან. ამ პროცესში

მნიშვნელოვანია პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი. პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი პროგრამის შედეგების შეფასების ანგარიშის განხილვის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში იმუშავებს რეკომენდაციებს და იღებს გადაწყვეტილებებს შემდგომი ღონისძიებების შესახებ. პროგრამის თვითშეფასების ჯგუფმა, დარგობრივი მახასიათებლისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს გათვალისწინებით, მოახდინა პროგრამის მოდიფიცირება. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ეს ცვლილებები აისახა პროგრამაში. სტუდენტთა არარსებობის გამო, სტუდენტთა შეფასებები ვერ აისახვა აღნიშნულ პროგრამაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორიაში საგანამანთლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და შეფასების წესი; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე სტუდენტთა მიღება გამჭვირვალე პროცესია და ხდება კანონმდებლობის შესაბამისად: შემოქმედებითი ტურისა და მშობლიურ ენაზე უნარების ტესტის ჩაბარების საფუძველზე. ამრიგად, პროგრამაზე დაიშვებიან შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციის პირები, რომლებიც მზად არიან დაძლიონ პროგრამით გათვალისიწინებული მიზნები და მიაღწიონ გაწერილ შედეგებს, რა თა შეძლონ მომდევნო, საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გაგრძელება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია კონსერვატორიაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე. პროგრამის კურსები, განსაზღვრული საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები შეესაბამება პროგრამის დასახულ მიზნებს. პროგრამის სასწავლო კურსების წინაპირობები ლოგიკურია და თანმიმდევრული. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით, სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია შესაბამისი სამუსიკო ტერმინოლოგია და თემატიკა. პროგრამის მოცულობა და შინაარსი სავსებით შეესაბამება სწავლების საფეხურს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები;
- კონსერვატორიაში პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და შეფასების წესი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსებში წარმოდგენილი თემატიკა ეხმიანება სამუსიკო განათლებასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას, სასურველია ისეთი არჩევითი კურსის შეთავაზებაც, რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამისი დარგობრივი ლექსიკის შესწავლას და სტუდენტის უკეთ მომზადებას საბაკალავრო საფეხურისათვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული სასწავლო კურსის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. სასწავლო კურსების შინაარსი, წარმოდგენილი თემატიკა, განსაზღვრული საათები და კრედიტების მოცულობა, შეფასების სისტემა, სწავლების მეთოდიკა დადგენილია მოცემული სასწავლო კურსისა და პროგრამის სპეციფიკით. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა

შედგენილია დარგის უახლესი მიღწევების საფუძველზე, მასში წარმოდგენილია თანამედროვე მეთოდიკაზე დაფუძნებული სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ ბიბლიოთეკაში დაცული წიგნადი ფონდი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას, რომლის შედეგადაც კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს სწავლის გაგრძელება ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამაზე. სტუდენტები როლური თამაშებისა და სიმულაციური მეთოდების დახმარებით შეძლებენ ახალი ცოდნის გადატანას რეალურ საკომუნიკაციო გარემოში. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ტრანსფერული უნარების განვითარებას. ვინაიდან პროგრამის მიზანია არაქართულენოვანი მოქალაქეების სამოქალაქო ინტეგრაცია, სასურველი იქნება სტუდენტებისათვის ექსტრაკურიკულური აქტივობების შეთავაზებაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, ინტეგრაციის მიზნით, სტუდენტებს შესთავაზოთ სხვადასხვა ექსტრაკურიკულური აქტივობები (ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება და ა.შ).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა ეფუძნება ენის სწავლებისა და სწავლის კომუნიკაციურ მეთოდს. თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები ინტეგრირებულია, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და ქართული კულტურული ღირებულებების გაცნობას. სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილია ინტერაქტიული სწავლების სხვადასხვა მეთოდები (მათ შორის: პირდაპირი მეთოდი, კითხვითი მეთოდი, აუდიოლინგვური მეთოდი, იმერსია, დისკუსია და ა.შ.). პროგრამის განმახორციელებელ პირებთან საუბრისას ასევე გამოიკვეთა სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მიდგომაც, რისი ტრადიციაც კონსერვატორიას სხვა სპეციალობებში აქვს დამკვიდრებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუ;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის შეფასება ხორციელდება კონსერვატორიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება ყოველ სემესტრში და გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს მიმდინარე და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. სემესტრული შეფასება მიიღება შუასემესტრული/მიმდინარე და დასკვნითი გამოცდის შეფასებების დაჯამების გზით.
41-50 ქულის სემესტრული ჯამური შეფასების პირობებში სტუდენტი ვერ იღებს კრედიტს, მაგრამ ეძლევა უფლება გადააბაროს გამოცდა სასწავლო დისციპლინის გამეორების გარეშე მიმდინარე სემესტრში, დადგენილ ვადებში. თუ სტუდენტის მიერ სემესტრის მანძილზე დაგროვილი ქულათა ჯამი არ აღემატება 40 ქულას, სტუდენტი ვალდებულია გაიმეოროს კურსი და დავალიანება დაფაროს დადგენილი წესის მიხედვით. სილაბუსებში შეფასების მეთოდები განსხვავებულია საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებული საკონსულტაციო და სამუშაო საათები უზრუნველყოფს სტუდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობას. პროგრამის კოორდინატორი სისტემატურად აწვდის სტუდენტებს სასწავლო პროცესთან და სხვა სახის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური შეხვედრების დროს. საჭიროების შემთხვევაში გეგმავს შეხვედრას ფაკულტეტის დეკანთან ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, სტუდენტი მიღებულ შეფასებას ოპერატიულად ეცნობა ელექტრონულ ბაზაში. ასევე ოპერატიულად იღებს უკუკავშირს ლექტორისგან და მასთან ერთად აანალიზებს დაშვებულ შეცდომებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სილაბუსები;

- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, კონსერვატორიის სხვა პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება მოწვეული პერსონალის მიერ. ○ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი თავისი კვალიფიკაციით, გამოცდილებითა და უნარ-ჩვევებით სრულად შეესაბამება პროგრამის უზრუნველყოფისათვის საჭირო მოთხოვნებს. ○ პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის შედგენის, შეფასება-განვითარების, განხორციელებისა და მოდიფიცირების პროცესში. ○ რადგან აღნიშნულ პროგრამაზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არ ჰყავს და არც აქამდე ჰყოლია სტუდენტი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (ორი მოწვეული ლექტორი) და მათი დატვირთვა ამჟამად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების მოზიდვის შემთხვევაში, კონსერვატორიის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა სრულიად შესაბამისია დაგეგმილ კონტიგენტთან მიმართებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
○ მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის გაზრდასთან ერთად, სასურველია პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალის რაოდენობის ზრდაც.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- თავიანთი პროფესიული შესაძლებლობების სრულად გამოსავლენად და პროგრამის განსახორციელებლად მასში ჩართული პერსონალისთვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შექმნილია შესაბამისი პირობები.
- კონსერვატორიის ხარისხის სამსახური პერიოდულად ატარებს ტრენინგებს აკადემიური პერსონალისთვის, როგორიცაა საგნის სილაბუსის შედგენის მეთოდიკა, კურიკულუმის განვითარება და ა.შ. ასევე მოიძიებს ინფორმაციას ტრეინინგ კურსებისა თუ კონფერენციების შესახებ სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ და უზრუნველყოფს კონსერვატორიის პერსონალის პერიოდულ ჩართულობას მსგავსი ტიპის სასწავლო აქტივობებში.
- პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კონსერვატორიის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, რადგან, როგორც გაირკვა,

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, სამეცნიერო ნაშრომები. ○ ამონაწერი კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 19 დეკემბრის სხდომის #3 ოქმიდან ○ ამონაწერი კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 25 ნოემბრის სხდომის #2 ოქმიდან ○ ინტერვიუს შედეგები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის წარმართვისა და სხვა აქტივობებისათვის გათვალისწინებულია თანამედროვე ინვენტარითა და ტექნიკური რესურსით - კომპიუტერული ტექნიკითა და სხვა მოწყობილობებით აღჭურვილი აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები. ○ ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო წიგნადი ფონდი, მისი ელექტრონული ვერსიები და სხვა სასწავლო მასალა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულება ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს. ○ კონსერვატორიის მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კონსერვატორიის ბიბლიოთეკის ელკატალოგში შეყვანილი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების ბმულები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფასურიდან მისაღები შემოსავალი.
- უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებს ასევე წარმოადგენს: ეროვნული და საერთაშორისო ფონდების გრანტები; საბიუჯეტო დაფინანსება (მათ შორის სახელმწიფო სტიპენდია); ეკონომიკური საქმიანობით მისაღები სხვა ნებადართული შემოსავალი;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხარჯებში გათვალისწინებულია პერსონალის შრომის ანაზღაურება და წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებისათვის გასაწევი ინფრასტრუქტურული ხარჯი.
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისთვის ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური გეგმა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები კონსერვატორიის ადმინისტრაციული სამსახურის პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების

ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- კონსერვატორიაში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ეხმარება მისიის, მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში; სისტემა უზრუნველყოფს კონსერვატორიის სასწავლო, სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას; კონსერვატორიის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას, მონიტორინგს და შედეგების ანალიზს საქმიანობის შემდგომი განვითარების მიზნით.
- საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების კოორდინატირები მჭიდროდ თანამშრომლობენ ანალოგიურ სამსახურებთან ისეთ საკითხებში როგორიცაა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება, სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასება. კონსერვატორიაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აგრეთვე მოიცავს შიდა შეფასების ელემენტებს.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფი ურთიერთთანამშრომლობის გზით შეიმუშავებს სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის დამადასტურებელი აქტივობები. შეფასებები, ანალიზები და რეკომენდაციები;
- კონსერვატორიის თვითშეფასების კრიტერიუმები და შეფასების ინდიკატორების შკალა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას არ გაუვლია გარე შეფასება, თუმცა, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და ინსტრუმენტების გარდა, საგანმანათლებლო პროგრამების შესაფასებლად კონსერვატორია იყენებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესს.
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში არის მითითებული, რომ კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან ერთად კოორდინირებას უწევენ პროგრამის მომზადებას აკრედიტაციის პროცესისათვის. ამ მიზნით ტარდება სხდომები. ერთი სხდომის დღის წესრიგი იყო „ქართულ ენაში მომზადების პროგრამის მოდიფიცირებისთვის თვითშეფასების ჯგუფის შექმნა“, ხოლო მეორე სხდომის - „ქართულ ენაში მომზადების პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის ანგარიში და პროგრამის განხორციელებაში ცვლილების დამტკიცება“.
- სასურველია პროგრამის გარე შეფასების განხორციელება საქართველოს სხვა რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- ამონაწერი კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 19 დეკემბრის სხდომის #3 ოქმიდან;
- ამონაწერი კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 25 ნოემბრის სხდომის #2 ოქმიდან;
- ინტერვიუს შედეგები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია პროგრამის გარე შეფასების განხორციელება საქართველოს სხვა რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის შეფასებისთვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩატარდა სხდომები, დამუშავდა მიღებული ინფორმაცია, გაკეთდა ანალიზი და განისაზღვრა გასაუმჯობესებელი მხარეები.
- რადგან პროგრამას აქამდე არ ჰყოლია არცერთი სტუდენტი, კონსერვატორიაში მოქმედი პრაქტიკის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის შეფასების ინსტრუმენტებად გამოიყენება ყველა დაინტერესებული მხარის გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი.

- როგორც კონსერვატორიის ადმინისტრაციასთან შეხვედრის დროს აღინიშნა, პროგრამის ამოქმედების შემდეგ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩაატარებს სტუდენტებისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გამოკითხვას და ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები.
- ამონაწერი კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 19 დეკემბრის სხდომის #3 ოქმიდან
- ამონაწერი კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 25 ნოემბრის სხდომის #2 ოქმიდან
- ინტერვიუს შედეგები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 29

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: თამარ ჩოკორაია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ხვთისო მამისიმედიშვილი